



გარკვეული პერიოდი, ნანტში მიმდინარეობს დოკუმენტების მასობრივი შემოწმება. ეს შემოწმებები მიმართულია იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც აღიქმებიან უცხოელებად, და მათი მიზანია ადამიანების ადმინისტრაციულ დაკავებაში გადაყვანა. ამ შემოწმებების საპასუხოდ შეიქმნა საგანგებო დახმარების ხაზი.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რჩევა და უფლებების შესვენება



იდენტობის შემოწმების შემდეგ, შესაძლოა გადაგიყვანონ პოლიციის განყოფილებაში.

- თუ პოლიცია ეჭვობს, რომ ჩაიდინე დანაშაული ან დაგინახა დანაშაულის ჩადენისას, შეიძლება გადაგიყვანონ წინასწარ დაკავებაში.
- თუ ვერ ამტკიცებ, რომ ლეგალურად იმყოფები საფრანგეთში, შეიძლება გადაგიყვანონ ადმინისტრაციულ დაკავებაში (მაშინაც კი, თუ არ ჩაგიდენია დანაშაული).

პოლიცია ვალდებულია აგისხნას, რატომ ხარ განყოფილებაში და რა უფლებები გაქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მოითხოვო შენი უფლებების დაცვა.

წინასწარი დაკავება	ადმინისტრაციული დაკავება
გრძელდება მაქსიმუმ 4 8 სთ	გრძელდება მაქსიმუმ 2 4 სთ
პოლიცია სცდილობს დაადგინოს ჩაიდინა თუ არა დანაშაული	პოლიცია ამოწმებს შენს საბუთებს და ქვეყანაში ყოფნის უფლებას
შენი უფლებები	
<ul style="list-style-type: none"> - გყავდეს თარჯიმანი შენს სასურველ ენაზე. - შეხვდა ექიმს. - გყავდეს ადვოკატი. - აცნობო ახლობელს და დამსაქმებელს. - დუმილის უფლება. 	<ul style="list-style-type: none"> - გყავდეს თარჯიმანი შენს სასურველ ენაზე. - შეხვდა ექიმს. - გყავდეს ადვოკატი. - აცნობო ახლობელს და დამსაქმებელს. - შეგიძლია აცნობო შენი ქვეყნის საკონსულოს (მაგრამ ეს არ არის კარგი იდეა თუ გაქვს ან აპირებ თავშესაფრის მოთხოვნას)


არასოდეს მოაწერო ხელი დოკუმენტს თუ არ გესმის რა წერია მასში.

თუ ხარ გადაუდებელ სიტუაციაში, თუ ხარ მოწმე შემოწმების ან შენი ახლობელი გადაიყვანეს პოლიციაში, შეგიძლია დარეკო შემდეგ ნომერზე.

ტელეფონის ნომერი : +33 7 58 13 85 41

რამდენიმე ზოგადი რჩევა წინასწარ მოსამსაღებლად

ეცადე გყავდეს ისეთი ახლობელი ადამიანი, რომელსაც აქვს წვდომა შენს ყველა საბუთზე, თუ დაგჭირდება. საუკეთესოა, ზეპირად იცოდე მისი ტელეფონის ნომერი, რათა შეძლონ მასთან დაკავშირება, თუ პოლიციაში გადაგიყვანენ.



ნუ ატარებ პასპორტს ყოველთვის თან. თუ სხვა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გაქვს, შეგიძლია მისი ფოტო გქონდეს შენს ტელეფონში.

თუ გაქვს მიმდინარე პროცედურები ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებით, ეცადე შეაგროვო მტკიცებულებები შენს ტელეფონში (მაგალითად: განაცხადის შეტანის ქვითარი, განახლების დოკუმენტები და ა.შ.)

გადაუდებელ შემთხვევაში, ზოგჯერ მნიშვნელოვანია მისამართის ქონა. თუ არ გაქვს, ეცადე გყავდეს ადამიანი, რომელიც შეძლებს ხელი მოაწეროს შენთვის საცხოვრებლის დამადასტურებელ დოკუმენტს (attestation d'hébergement).



თუ გყავს ადვოკატი, რომელიც გეხმარება ადმინისტრაციულ საკითხებში, ზეპირად დაიმახსოვრე მისი სრული სახელი და ქალაქი, სადაც მუშაობს.